ფოთში საჯარო სამსახურში ტესტირების ჩატარების თარიღი უცნობია

გვ. 2

იქნება თუ არა მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი მასწავლებელთა განთავისუფლების მექანიზმი?

გვ. 5

ფოთში სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა იგეგმება

გვ. 2

მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 50 თეთრი № 1 26 იანვარი - 2 თებერვალი -2015 წელი\ გამოდის სამშაბათობით

ნატო ესიავა - ,,ვინც იმას ამბობს, რომ არაფერს ვაკეთებ, ტუტუცები არიან,,

გვ.3

როგორ აითვისებს ფოთის ხელისუფალნი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილ თანხას?

გვ. 3

,,მე და ჩემი ქალაქი,,

გვ. 6

გოჩა ქორქია: ,,ეს პედაგოგები საზოგადოების მადლიერებასა და შრომის ღირსეულ დაფასებას იმსახურებენ,,

გვ. 4

შენ ჯერ ეგ არ გინახავს?



აქ გვიპოვი ჩვენ

www.msnews.ge

,,მთავარმა თემამ სამეგრელოში,, კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა

მარი ჯავახია

ფოთი

რეგიონულმა გაზეთმა „მთავარი თემა სამეგრელოში“ კონკურსი გამოაცხადა და გასულ კვირას ამ კონკურსში გამარჯვებულები დააჯილდოვა კიდეც. კონკურსში რამდენიმე ნომინაცია გახლდათ წარმოდგენილი. „წლის გამყიდველის” ნომინაციაში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა იმ გამყიდველს, რომელთა მაღაზიებშიც იყიდებოდა ჩვენი გაზეთი. გაზეთის გამყიდველების გარდა დაჯილდოვდნენ საგაზეთო ჯიხურების გამყიდველები და იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებიც წლების განმავლობაში თანამშრომლობენ გაზეთთან და ყველაზე მეტი გაზეთი აქვთ გამოწერილი. მაღაზიებში გაზეთის შეტანა, როგორც იტყვიან, მომგებიანი აღმოჩნდა გაზეთისთვის, რადგან გაიზარდა გაზეთების გაყიდვა, გაზეთის ცნობადობა, შესაბამისად იმატა მკითხველთა რაოდენობამ და გაზეთის ტირაჟმაც. გაზეთის დამფუძნებლის მიერ მოფიქრებულმა კონკურსის იდეამ გაამართლა, რადგან კონკურსით კმაყოფილნი დარჩნენ მონაწილეები და როგორც თქვეს კიდეც, კარგი იქნება, თუ მსგავსი კონკურსები კვლავაც გაგრძელდება. ერთ-ერთი გამარჯვებული გახდა მაღაზიის მეპატრონე რენო იზორია, რომელმაც თავისი აზრი გამოთქვა მედიასთან დაკავშირებით: „ბეჭდური მედია თავისთავად საინტერესოა. ამ ქალაქის პრობლემის ზუსტად ამსახველია, რისი საშუალებითაც ხდება რეაგირება ზუსტად და დროულად ყველა ფაქტთან დაკავშირებით. ჩემი აზრით, ბეჭდურ მედიას უფრო მეტი ხელის შეწყობა სჭირდება საზოგადოებისგანაც. მიმაჩნია, რომ თქვენი გაზეთი აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც ამ კუთხის მოქალაქეებს აქვს. ასეთი მიდგომა ძალიან დიდი სტიმულია და ინტერესს ბადებს იმ გაგებით, რომ ვიღაცას აინტერესებს ვიღაცის ბედი და ა.შ. ასეთი ტიპის კონკურსები ამ ქალაქში კი არის, მაგრამ სხვა დატვირთვის და სხვა ქვეტექსტებით, ანგარებიდან გამომდინარე და ა.შ. ეს დღე კი იყო სრულიად ოჯახური, ახლობლური და ძალიან სასიამოვნო“.

ერთ-ერთი საგაზეთო ჯიხურის გამარჯვებულმა გამყიდველმა ნიკოლოზ ალხაზოვმა ჩვენს გაზეთს შემდეგი წარმატებები უსურვა: „18 წელია, რაც პრესის სამსახურში ვმუშაობ, დიდი ხანია ვთანამშრომლობ გაზეთან და შემიძლია თამამად ვთქვა ერთადერთი რეგიონული გაზეთია, რომელიც პრობლემატურ საკითხებს აშუქებს და სიმართლეს ემსახურება. მინდა, ამ გაზეთს ყოველივე კარგი ვუსურვო. ასეთი პრეცენდენტი ფოთში არ მომხდარა. შეიძლება თბილისში იმართება ასეთი სახის კონკურსები და დაჯილდოვებები, მაგრამ ფოთში ეს პირველად გავიგე. ძალიან დიდი ყურადღებაა ჩვენს მიმართ და შრომის დაფასება. დიდ მადლობას გიხდით ასეთი ღონისძიებისთვის მთელს რედაქციას“.

ფოთის ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ირა ფაციამ, რომელიც წლებია გაზეთთან თანამშრომლობს, ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

გაგრძელება 2-გვ.

gamomcemeli da direqtori, mTavari redaqtori
inga gvasalia - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

redaqtori
mari javaxia - 579 241 122

distribucois samsaxuri
eka kacia
568845740

კორესპონდენტები:
TaTia lolua (foTi)
598 147 907

eka urTmeliZe (foTi)
598685937

giorgi seskuria (zugdidi)
555 14 76 24

gamoqveynebuli masalis Sinaarsi SeiZleba ar emTxveodes redaqciis Tvalsazriss. statiis avtorebi Tavad ageben pasuxs informaciis sizusteze. redaqciaSi audio masalebi inaxeba ori kviris ganmavlobaSi, am vadis gasvlis Semdeg pretenziebi ar miiReba.
გამოქვეყნებული

მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

„მთავარმა თემამ სამეგრელოში„ კონკურსის გამარჯვებულები დაჯილდოვა

დასაწყისი პირველ გვ.

„მთავარი თემა სამეგრელოში“ კარგი გაზეთია ძალიან დადებითად ვართ ამ გაზეთის მიმართ განწყობილნი. ძალიან ვრცელი სტატიები ვრცელდება იმ პრობლემებზე, რაც დღეს არსებობს. მე ვუსურვებ მეტს სივრცეს, არეალს და ფორმატებს“.

გაზეთის დამფუძნებლის ინგა გვასალიას თქმით, გაზეთის მთავარი მიზანია, დაიცვას მოსახლეობის ინტერესი, ფართო საზოგადოებისთვის იყოს უფრო ხელმისაწვდომი, გააშუქოს ყველა პრობლემატური საკითხი და ამავდროულად შეინარჩუნოს დამოუკიდებელი მედიის პრინციპები: „ შეიძლება თამამად ითქვას, რომ ერთადერთი დამოუკიდებელი გაზეთია რეგიონში, რომელმაც წლების განმავლობაში მცირე დაფინანსების მიუხედავად, აქამდე მოაღწია. დაუფინანსებლობის მიუხედავად, არ დაუკარგავს ობიექტურობის ხარისხი. გაზეთი მრავალი წელია გამოდის და არ ყოფილა პრეცენდენტი, სადაც მოქალაქეებს გამოეთქვას პრეტენზიები, გაზეთში არაობიექტურად გასული მასალის გამო. გაზეთი ძირითადად თვითდაფინანსებაზეა. გაზეთი ვრცელდება სამეგრელოს რეგიონში. მისი შეძენა შესაძლებელია პრესის სერვისცენტრებში,. მას აქვს აგრეთვე გამოწერის მოქნილი სერვისი. გაზეთის ხელმომწერები არიან ძირითადად სხვადასხვა გადამზიდავი კომპანიები, შპს-ები. გასულ წელს კი რედაქციამ საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის შექმნა დაიწყო, რომელიც სუპერმარკეტებში გაზეთების დისტრიბუციას გულისხმობს. გაზეთების გაყიდვის ეს მეთოდი პოლონური ორგანიზაცია „ასოციაცია დემოკრატიული აღმოსავლეთის” მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში განვახორციელეთ. აღნიშნულ ორგანიზაციასთან რვა წელია ვთანამშრომლობთ, ამ წლების განმავლობაში მათი მხარდაჭერით გავიარე არაერთი სტაჟირება პოლონეთში და სწორედ მათი თანადგომით შეიქმნა ჩვენი გაზეთის ვებგვერდიც www.msnews.ge“.

როგორც გაზეთის დამფუძნებელმა აღნიშნა, მსგავსი კონკურსი პირველად ჩატარდა ფოთში და მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ განსხვავებული პირობებით და გაიზრდება დასაჯილდოებელთა რაოდენობაც სხვადასხვა ნომინაციებში. გამოვლინდება არა მარტო სუპერმარკეტების გამყიდველები, არამედ ერთგული მკითხველი - (რომელიც რედაქციაში მოიტანს გაზეთის ყველა ნომერს), აქტიური რესპონდენტი და სხვა ნომინაციები. გაზეთი “მთავარი თემა სამეგრელოში” დაარსდა 1999 წელს. წლების განმავლობაში იცვლებოდა გაზეთის დამფუძნებლები, დირექტორები და ასევე გაზეთის სახელწოდებაც (პირველად იყო “მთავარზე მთავარი სამეგრელოში”, “მთავარი სამეგრელოში” და ბოლოს 2004 წლიდან “მთავარი თემა სამეგრელოში”). გაზეთი ძირითადად თვითდაფინანსებაზეა. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას. ჩვენი დევიზი კვლავაც პრობლემების ასახვა და სიმართლის სამსახურია. კვლავაც მიუკერძოებელ ინფორმაციებს ვპირდებით ჩვენს მკითხველს, რომელიც, იმედია, მეტად გაეზრდება ჩვენს გაზეთს. .

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის



ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -2 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,3 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

წიგნის - „ზვიად გამსახურდიას საქმე„ პრეზენტაცია

თათია ლოლუა
ფოთი

ფოთში კონსტანტინე გამსახურდიას წიგნის - „ზვიად გამსახურდიას საქმე“ - პრეზენტაცია გაიმართა. წიგნში შესულია ყველა ის მოძიებული საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც საპარლამენტო კომისიის მიერ იქნა მოძიებული. ასევე წიგნში წავიკითხავთ აღნიშნული კომისის დასკვნით დოკუმენტს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. როგორც კოკო გამსახურდიამ პრეზენტაციაზე აღნიშნა კომისიის მუშაობისას ძალიან ბევრი ადამიანი იქნა დაკითხული და მათგან მიღებული ინფორმაციებით ძალიან ბევრი კითხვა არსებობს, რომლითაც შესაბამისი სტრუქტურები უნდა დაინტერესდნენ. მისი მტკიცებით მოძიებული ინფორმაციებიდან იკვეთება ერთი რამ მხოლოდ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავი კი არ მოიკლა, არამედ ის მოკლეს. მისი თქმით ყველა მოძიებული და მოპოვებული მასალა პროკურატურას გადასცეს.

პრეზენტაციაზე კოკო გამსახურდიამ დამსწრე საზოგადოებას ასევე წარმოუდგინა - ბრიტანელ პრერაფაელიტთა ორდენის პოეტურ ქმნილებათა თავის მიერ ნათარგმნი „ყვავილების წიგნი“. წიგნში შესულია უილიამ მორისის, დანტე გაბრიელ როსეტის, ქრისტინა გეორგინა როსეტის, ალგერნონ ჩარლზ სვინბორნის, ჯეიმს კოლინზონის ლექსების ქართული თარგმანები. მან ზვიად გამსახურდიას პოეზია “კოსმიური წირვაც“ გააცნო პრეზენტაციის სტუმრებს. მამამისის ლექსების კრებულს კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიას წინასიტყვაობა ახლავს თან.

პრეზენტაციაზე დაისვა კითხვები ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. კონსტანტინე (კოკო) გამსახურდიამ შემდეგი კომენტარი გააკეთა: „ახალ მთავრობას ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ახალი პოზიცია არ გამოუსატავს, მაგრამ ის, რომ პროკურატურამ 2004 წელს, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შეწყვეტილი საქმე განაახლა, ფაქტია. მიხეილ სააკაშვილის დროს ამ საქმეების კურატორი იყო ირაკლი ოქრუაშვილი, რომელმაც ეს საქმე გააჩერებინა“.

წიგნების პრეზენტაციით ავტორიც და დამსწრენიც კმაყოფილნი დარჩნენ.

ფოთში საჯარო სამსახურში ტესტირების ჩატარების თარიღი უცნობია

ეკა ურთმელოძე
ფოთი

ჯერ კიდევ არ არის ცნობილი და გაურკვეველია როდის ჩატარდება საჯარო სამსახურებში კონკურსი, ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსმა ზვიად შუბითიძემ განაცხადა, რომ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რამდენიმე საკითხია განსახილველი და შესათანხმებელი. უახლოეს მომავალში დაინიშნება კონკრეტული თარიღი.

შეგახსენებთ, რომ 41 ვაკანსიაზე 872 კაციდან 2400-მდე განცხადებაა შესული, აქვე აღვნიშნავთ, რომ ერთ ადამიანს რამდენიმე ვაკანსიაზე (5 ვაკანსიაზე) შეუძლია გააკეთოს განაცხადი. ფოთელების გარდა ფოთში სამსახურის დაწყების მსურველი სხვა რეგიონებიდანაც არიან.

ფოთში სანაპირო ზოლის კეთილმოწყობა იგეგმება

მალთაყვის რაიონში იწყება მოკლე გადასასვლელი გზის მშენებლობა და სანაპირო ზოლის მშვიდობის ქუჩამდე მოწყობა. პირველ ეტაპზე გაკეთდება ის ნაწილი, რაც მოესწრება ვადებში. რაც შეეხება თანხას, ეს უნდა გაკეთდეს ტრანსფერით და რამდენი იქნება გამოყოფილი, ზუსტად ცნობილი არ არის. როგორც გავარკვიეთ წელს, სავარაუდოდ, 2 მილიონ ნახევარი ლარი გამოიყოფა, მომავალი წლისთვის კიდევ ამდენივე



ნატო ესიავა – ,,ვინც იმას ამბობს, რომ არაფერს ვაკეთებ, ტუტუცები არიან,,

თათია ლოლუა
ფოთი

საბავშვო ბაღების თემა ძალიან აქტუალურია დღეს და მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისათვის. ყველას სურს,რომ, პატარები კარგ პირობებში და ჯანსაღ გარემოში ატარებდნენ დღის გარკვეულ მონაკვეთს. ახალი წლის დაწყებასთან ერთად სააღმზრდელო გაერთიანებამ გამოაცხადა საბავშვო ბაღების სხვადასხვა მომსახურებისთვის ტენდერები. ჩვენი ინფორმაციით ახალგამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებული ფირმების მომსახურებით უკმაყოფილოები არიან ბაღების თანამშრომლები. ჩვენ დავინტერესდით ამ საკითხით და გადავწყვიტეთ ვწვეოდით ქალაქში არსებულ რამდენიმე სკოლამდელ - სააღმზრდელო დაწესებულებას და გვენახა, როგორი პირობებია დღეს ფოთის ბაღებში და რა პრობლემები აქვთ მათ. მე-7 საბავშვო ბაღის გამგემ, ირინა ანდრიაძემ როგორც გვითხრა: ,,ბაღების გამგეებს ერთმანეთთან კონტაქტი გვაქვს, ვეკითხებით ვინ როგორი პროდუქტი მიიღო. მე ხორცზე პრობლემა ნამდვილად არ მქონია. ალბათ, იქიდან გამომდინარე, რომ ცოტა ბავშვი დადის ბაღში. დამუშავების პრობლემა არ გვაქვს და არც უხარისხო ხორცი მოუტანიათ, მაგრამ ზოგჯერ იყო შემთხვევები, რომ წონით ნაკლები, მოუტანიათ, ჩვენ ხომ ყველაფერს ვწონით და ვაკონტროლებთ. ჩემი ერთადერთი პრობლემაა პროდუქტის დაგვიანება. შარშან ზაფხულში მოგვცეს ხორცის გასატარებელი მანქანა და ჯერჯერობით ვასწრებთ ხორცის გატარებას. თებერვლიდან ბავშვების რაოდენობა მოიმატებს. სულ 91 ბავშვი გვყავს, აქედან 2 ახლა მივიღეთ და მერე არ ვიცი, რა იქნება, როგორ მოვასწრებთ. რაც შეეხება ტენდერს, პროდუქტები გაფანტულია, ძალინ ბევრი მომწოდებელი გვყავს სხვადასხვა ქალაქიდან და სასურველი იქნებოდა,მგონი ფოთს აქვს იმის შესაძლებლობა, ადგილზე მოვაგვაროთ ეს ყველაფერი იმიტომ, რომ რაიმე პრობლემის შემთხვევაში, მაგალითად,არ მოგვეწონოს პროდუქტი, მაშინვე გამოვცვლიდით. ახლა ძალიან ძნელია, როდესაც თბილისიდან მომიტანენ ვაშლს და ამ ვაშლის ხარისხი დავიწუნო,ისევ ფოთში უნდა გავიდეთ და ვიყიდოთ, რადგან არ დაიბრუნებს მომწოდებელი. შეშას და გაზს რაც შეეხება, შეშაზე პრობლემა არ გვაქვს, ყველა ოთახში გათბობაა. შეშაზეც ტენდერი იყო გამოცხადებული, მაგრამ ერთადერთი პრობლემა ამასთან დაკავშირებით არის შეშის შეტანა და იმას ჩვენვე ვაგვარებთ. 19 კაციანი კოლეტივია, მე-20 მე ვარ, ჩვენ თვითონ ვდებთ თანხას და შეგვაქვს შეშა მუშის დახმარებით. გაზის ტენდერში გაიმარჯვა ზუგდიდმა და მომწოდებლებმა 3 ბალონი დაგვიტოვეს. არა მგონია უსაფრთხო იყოს სამივე ბალონის ადგილზე დატოვება, ნამდვილად საფრთხის შემცველია. ადრე ფოთიდან იყო მომწოდებელი, რაც უფრო ხელსაყრელი იყო. ვურეკავდით და როცა საჭირო იყო, მოჰქონდათ. ჩვენ გვეკუთვნის 40 კილოგრამი გაზი და ახალმა მომწოდებელმა სამივე გაზის ბალონი მოიტანა და დატოვა. რაც შეეხება ჩვენი ბაღის რემონტს, ველოდებოდით. ტრანსფერით დაფინანსდებაო ჩვენი და მერვე საბავშვო ბაღის რემონტი, არა მარტო საბავშვო ბაღების, არამედ ბიბლიოთეკის შენობა, სკოლების და ავარიულ მდგომარეობაში მყოფი შენობების რემონტი უნდა დაფინანსებულიყო. ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, რომ გაგვირემონტდებოდა შენობა, ველოდებოდით თებერვალში ზუგდიდიდან რეგიონულ კომისიას, რომელსაც უნდა შევემოწმებინეთ და მათ დაგვიბარეს, რომ სამზარეულო, რომელიც ცალკე შენობაში მდებარეობს, აუცილებლად უნდა შეუერთდეს ძირითად შენობას, ან მივაშენოთ, ან შევიწროვდეთ და როგორმე მოვათავსოთ ამ ძირითად შენობაში. იმედი გვქონდა ჩაგვსვამდნენ სარემონტო შენობების სიაში, მაგრამ უარი თბილისიდან მოგვივიდა. შემდეგ ვთხოვე ჩვენ ხელმძღვანელს დავეკვალიანებინე, ვისთან მივსულიყავი ამ საკითხთან დაკავშირებით და თავად დაგვპირდა, რომ სამზარეულოს გაერთიანება შეგვიკეთებდა. როგორმე უნდა შევვიწროვდეთ, ერთი ოთახი გამოვათავისუფლოთ და სასადილო გადმოვიტანოთ გამოთავისუფლებულ ოთახში".

ნატო ესიავა – სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების უფროსი

მე-8 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გამგე ვერა ლაშხიაც ამბობს, რომ პრობლემა ახალი ფირმებისგან ჯერჯერობით არ აქვთ: "საკვებით გვამარაგებენ დროულად. შეშა საკმარისად გვაქვს, ისიც დროულად მოგვამარაგეს. გაზით მომარაგება ცოტა მცირე რაოდენობით ხდება, რადგან 3 ბალონი გაზი 1 თვეში არ

დასასრული 4- გვ.

როგორ აითვისებს ფოთის ხელისუფალნი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილ თანხას?

ეკა ურთმელიძე
ფოთი

ფოთის ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გასულ წელს საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისგან გათვალისწინებული ტრანსფერის 11 მილიონი 800 ათასი ლარის ათვისება ვერ მოხერხდა. ამ თანხიდან მხოლოდ 4,5 მილიონი აითვისეს. რა მდგომარეობაა 2015 წელს ამ მხრივ, ამასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსს ვასილ თოდუას: "15 მილიონამდე იყო ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროექტები და გარკვეული დოკუმენტაციაც გვქონდა შედგენილი ამასთან დაკავშირებით. სამხარეოში მუშაობდა მუშა ჯგუფი, რომელმაც პირველი ფილტრაცია ჩაატარა ჩვენს მიერ წარდგენილ პროექტებზე და მეორე ფილტრაცია იყო უშუალოდ ინფრასტრუქტურის სამინისტროში. ეს თანხა დავიდა 12 მილიონამდე ზუგდიდში. თბილისში, სახელმწიფო კომისია ინფრასტრუქტურის საკითხში 10 მილიონ 350 ათასზე შეჯერდა. ჩვენ შევადგინეთ ამ თანხასთან დაკავშირებით ყველა დოკუმენტაცია, რომელიც განხილვას დაექვემდებარა. შემდეგ იყო დაპირება, რომ ფინანსთა სამინისტრო სრულად დააფინანსებდა ამ შეჯერებულ პროექტებს (10 მილიონ 350ათასს) და ფინანსთა მინისტრი თანხმა იყო დაეფინანსებინა წარმოდგენილი პროექტები. ეს იყო 2014 წლის ბოლოს. 2015 წლის დასაწყისში დამტკიცებული ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებელი ფონდიდან პირველი ეტაპისთვის გამოიყო 14 მილიონი. ბოლო მთავრობის სხდომის დადგენილებით, სადაც მოითხოვეს ჩვენი პროექტების დაზუსტება 4 მილიონ 300 ათასის ფარგლებში. ამ ჩვენი ჩამოწერილი პროექტებიდან ჩვენ უნდა აგვერჩია და (10 მილიონ 300 ათასი) უნდა წარგვედგინა პირველი პრიორიტეტული პროექტები შესაბამისი დოკუმენტაციით. მერმა, ასე ვთქვათ, მიიღო ეს დავალება, გარკვეულწილად ჩვენ განვსაზღვრეთ პრიორიტეტები, მაგრამ მერმა თავი შეიკავა იმ მთავრობის სხდომაზე გასულიყო, რადგან შეთანხმება იყო 10 მილიონ 350 ათასზე და 4 მილიონ 300 ათასი გამოყვეს. ამის გარკვევის პროცესი მიმდინარეობს ახლა. ჩატარდა მთავრობის პირველი სხდომა და განაწილდა ფოთის გარეშე, ანუ ფოთი ამ განაწილებაში არ მოხვდა. ქუთაისს აქვს 17 მილიონი დაუმტკიცდა, ჩვენ კი არა, რადგან ვთქვით, რომ გარკვევა გვჭირდებოდა, 10 მილიონ 350 ათასის ნაცვლად 4 მილიონ 300 ათასი რატომ გამოყვეს და არ გავაგზავნეთ ის დაზუსტებული მონაცემები, ფოთი განაწილებიდან საერთოდ ამოიღეს. რაც შეეხება წინა წლების ტრანსფერებს - 2013 წელს გამოყოფილ იყო 11 მილიონ 800 ათასი ლარი. აქედან 5,5 მილიონი ვერ ავითვისეთ, ამას თავისი მიზეზები ჰქონდა, ვინაიდან ჩვენ პროექტები არ გვქონდა, მთავრობის დადგენილება კი იყო აპრილში, გვიან მოხდა ამ თანხების განაწილება, ჩვენ არ გვქონდა პროექტები დამზადებული. პროექტების და მშენებლობის ტენდერი გვქონდა გამოსაცხადებელი, შემდეგ გამარჯვებული უნდა გამოგვევლინა. ეს პროცედურულად, შესყიდვების კანონებიდან გამომდინარე, 5 თვეს საჭიროებს, ჩვენ კი ეს თანხა ხუთი თვის განმავლობაში ვერ გამოვიყენეთ. დავიწყეთ გამოყენება 5 თვის შემდეგ, ოქტომბრის დასაწყისში. ეს ვერ მოესწრო 2 თვე ნახევარში და ამიტომ აუთვისებელი თანხა გადმოვიდა 2014 წელს 5 მილიონ 562 ათასი, რომლის ათვისება გასულ წელსაც ვერ მოხდა მთლიანად. აქაც პრობლემა იყო, რადგან ფირმა, რომელმაც გაიმარჯვა გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში, აღმოჩნდა უპასუხისმგებლო. ეს იყო ფირმები, რომლებიც პირამიდას თამაშობდნენ, ანუ ვაჭრობაში მონაწილეობს ფირმა, გამოცხადებულია ტენდერი იმ თანხით, რომელიც ხარჯთაღიცხვას პასუხობს, ანუ საპროექტო ინსტიტუტმა გააკეთა პროექტი და ხარჯთაღრიცხვაში ასახა, რომ ეს პროექტი ღირს ვთქვათ 2,5 მილიონი. სამშენებლო კომპანიებმა კი ტენდერზე ვაჭრობის დროს თანხები შეამცირეს, ვინც ნაკლებ თანხას შემოგვთავაზებს, ის არის გამარჯვებული, ჩვენ როგორც შემსყიდველი ორგანიზაცია, ვერ ვმონაწილეობთ ამ ტენდერში, ვერც უარს ვამბობთ ამ შემცირებულ თანხაზე იმიტომ, რომ ძირითადი არსი ამ ელექტრონული ტენდერისა არის ის, რომ

ბიუჯეტმა მიიღოს ეკონომია. მაგრამ გათვალისწინება იმისა, რომ აქ შეიძლება პირამიდა ითამაშონ და არაკეთილსინდისიერი იყოს მშენებელი, ელექტრონულ ტენდერში არ არსებობს. პატიოსნებაზეა აგებული ელექტრონული ტენდერი. ჩვენ მაგალითზე რომ ვთქვათ, სტადიონზე, ტროტუარის და ფასადების მოწყობაზე მიიღო მონაწილეობა ისეთმა ფირმებმა, რომლებსაც ძველი ტენდერებიდან ძალიან დიდი ვალები ჰქონდათ დარჩენილი. გაიმარჯვეს შემცირებული თანხით, 2,5 მილიონიანი პროექტი დაიყვანეს 600 ათასამდე, მიიღეს ჩვენგან ავანსი. ამ შემთხვევაში ჩნდება მოსაზრება ან საპროექტო ორგანიზაცია არის დამნაშავე, რომელმაც გაბერა ხარჯთაღრიცხვა და არარეალური ციფრები ჩასვა ხარჯთაღრიცხვაში ან მშენებელია უპასუხისმგებლო, რომელსაც უნდა მოიგოს, ავანსი მიიღოს და ეს ავანსი მიმართოს ძველი ვალების დასაფარად. ჩვენც ამ უკანასკნელ შემთხვევასთან გვქონდა საქმე. ამ ორგანიზაციებს ძველი ვალები ჰქონდათ, ჩვენს მიერ მიღებული ავანსიდან დაფარეს ძველი ვალები და მიმდინარე სამუშაოები უნდა ეწარმოებინათ ახალ ტენდერებში გამარჯვების შემთხვევაში, ვერ გაიმარჯვეს და ამიტომ მოხდა ჩვენი ობიექტების მექანიკურად ბლოკირება, რადგან მათ ფული აღარ ჰქონდათ სამშენებლო სამონტაჯო სამუშაოების განსახორციელებლად. რაც შეეხება წლევანდელ წელს,იგეგმება დიდი ცვლილებები შევიდეს შესყიდვების კანონმდებლობაში, რომ ამ პირამიდის მოთამაშეებისთვის აღარ იყოს ხელსაყრელი პირობები. წლევანდელი ტრანსფერით ინფრასტრუქტურულ პროექტებს ამ 10 მილიონ 350 ათასში იყო რიგითობა პრიორიტეტებისა, მერი განსაზღვრავს ამ პრიორიტეტებს. ჯერ პირველი ეტაპისთვის 4 მილიონ 300 ათასით გათვალისწინებულ პროექტებზეა აქცენტი გაკეთებული, სანაპირო ზოლის რეაბილიტაციაზე (2,5 მილიონი), სანიაღვრე არხებისთვის (800 ათასი), ეზოების კეთილმოწყობა (600 ათასი) და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია. ალბათ, ფინანსთა სამინისტრო კიდევ დამატებით გამოყოფს თანხებს და იმ პრიორიტეტებში წარმოდგენილი ობიექტებიც დაფინანსდება".

ნატო ესიავა - „ვინც იმას ამბობს, რომ არაფერს ვაკეთებ, ტუტუცები არიან„

დასაწყისი 3-გვ.

არის საკმარისი. შეიძლება წინააღმდეგობასაც შევხვდეთ, რადგან სანამ ზუგდიდიდან ჩამოიტანენ, დრო უნდა და ალბათ მომიწევს ყიდვა. ჩვენს ბაღს დიდი სარემონტო სამუშაოები სჭირდება და იმედი მაქვს, წარდგენილი პროექტი გათვალისწინებულ იქნება და სარეაბილიტაციო სამუშაოები შესრულდება ჩვენს ბაღში“.

მე-9 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გამგე მაია სილოგავა კმაყოფილი გახლავთ შემოტანილი საკვებით და როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა, წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად უკეთესი ხარისხის პროდუქტი შემოდის: “არ ვიცი წლის დასაწყისია და ამიტომ ხდება ასეთი კარგი ხარისხის პროდუქტებით მომარაგება თუ რა, არ ვიცი, მაგრამ ვიმედოვნებ, წლის ბოლომდე ასე გაგრძელდება. არ მომწონს, რომ დატენილი გაზის ბალონები განთავსებულია ჩვენს ტერიტორიაზე. ძალიან დიდი ფართი გვაქვს, მაგრამ მაინც საშიშია. ადრე რომ შემოდიოდა გაზის ბალონები, ჩატვირთული იყო 10 კგ, ახლა შემოვიდა იგივე მოცულობის ბალონი, სადაც ჩატვირთულია 13 კგ, ეს კი საფრთხის შემცველია. გაერთიანების დირექტორი ჩვენ არ გვეკითხება და არ გვისმენს. საკმარისია, პრეტენზია გამოვთქვათ და იწყებს ჩხუბს, როგორ ბედავთო და ა.შ. ამ გაზის ბალონებზე თათბირი ჩატარდა და ვთქვით, რომ პროდუქტი კარგი შემოვიდა - ხორცი ძალიან კარგია, ფუნთუშაც, ფასიც დაბალია და ძალიან კარგია, მაგრამ ეს გაზი „გვეჩოთირება“, რადგან არც ტენდერში გვახედებს არავინ, არც ტენდერის პირობებში. ვფიქრობ, როდესაც ცხადება ტენდერი, უნდა მოხდეს გამგეების მოწვევა და მათ თავიანთი მოსაზრება უნდა თქვან. ეს თითქოს წვრილმანია, მაგრამ სად შევინახოთ ეს გაზის ბალონები? არის უსაფრთხოების გარანტია, რომ ერთ დღეს არ აფეთქდება? ამის გარანტიას მე არავინ მაძლევს. გვქონდა პრობლემა ხორცის გასატარებელ მანქანებთან დაკავშირებით. ადრე გვქონდა ეს მანქანა, გვიყიდა გაერთიანებამ, მაგრამ იაფასიანი, პლასტმასის დეტალებით იყო, რომელიც ძარღვიან ხორცს არ ატარებდა და დიდ დანაკარგს ვხედავდით. ეს პრობლემა მხოლოდ ჩემს ბაღს არ ჰქონდა, ბაღების უმრავლესობა ამ მდგომარეობაში იყო. მოვითხოვეთ მაღალი ხარისხის, რკინის დეტალებით ხორცის გასატარებელი მანქანა და ბრძოლის შედეგად მივიღეთ. დღეს ვარ მშვიდად - ჩემი ბაღის აღსაზრდელები ჭამენ კარგი ხარისხის ხორცს. მხოლოდ ის პრეტენზია მაქვს, რომ ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა უნდა იხარჯებოდეს ოპტიმალურად. უნდა შედგეს განვითარების სტრატეგია, სად მიჭირს, რა პრობლემის წინაშე ვდგავარ. თანხა უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, თუ რომელი პრობლემა წარმოადგენს პრიორიტეტს. უნდა მოხდეს მაქსიმალურად თანხის მიზნობრივად ხარჯვა. აი, მაგალითად, როდესაც ხორცის გასატარებელი მანქანა არ მაქვს და ხელით მიწევს მისი გატარება, ამ დროს რაში მჭირდება ოთახში ფერადი ტელევიზორის დადგმა?“

მე-10 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების გამგის ლალი შურღაიას განმარტებით, ყველაფერი ნორმალურად მიდის ბაღებში, როგორც წინა წელს, ასევე ახალი წლის დაწყების დროსაც: „საკვები პროდუქტი ძალიან მაღალი ხარისხისაა, არანაირი პრობლემა არ გვაქვს გამგეობასთან. ჩემს ბაღში უსაფრთხოების ზომები მიღებული მაქვს. დატენილი ბალონები, რომელსაც ვიღებთ ზუგდიდიდან, გატანილი მაქვს მოშორებით და თავს მშვიდად ვგრძნობ. ვიცი, რომ არანაირი საფრთხე ჩემს აღსაზრდელებს არ ემუქრება. ზამთარში შეშით მომარაგებაც დროულად ხდება, საკმარისი რაოდენობით გვამარაგებენ. დღეისდღეობით ახალი წლის დაწყებასთან ერთად, კმაყოფილები ვართ იმ შემოთავაზებით, რასაც ვიღებთ გამარჯვებული ფირმებისგან. იმედია, წლის ბოლომდე ასე გაგრძელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დავუშვებთ სხვანაირად. დარწმუნებული ვარ, ასე გაგრძელდება, რადგან ჩვენი უფროსი ყველაფერს თვალყურს ადევნებს და საქმის ყურშია“.

სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი ნატო ესიავაც კმაყოფილია ახალი ფირმების მომსახურებით და ზოგიერთი გამგის პრეტენზიებთან დაკავშირებითაც პასუხები მზად აღმოაჩნდა: „ყველაფერში გვყავს გამარჯვებული ფირმები. ხორცით გვამარაგებენ, შეშა უკვე შემოგვიტანეს, გაზიც. მომწოდებლები ზუგდიდიდან არიან, ბოსტნეულისა თბილისიდან. არ მომწონს გაზის დატენილი ბალონების შეტანა ბაღებში და ასეც ვუთხარი მომწოდებელს, მაგრამ - ასე დაგვაქვს ყველგან და გარანტია ჩვენ ვართო. ჩვენ არ გვაქვს ეს ბალონები სამზარეულოში. არც ერთ ბაღს არ მოუმართავს პრეტენზიით რაიმესთან დაკავშირებით. რაც შეეხება მე-7, მე-8, მე-5 და მე-14 ბაღების რემონტს, ისინი უნდა ჩამჯდარიყვნენ გეგმაში, ტრანსფერი უნდა მოსულიყო, მაგრამ ჯერჯერობით არ კეთდება. 3 წლის განმავლობაში უნდა გაკეთებულიყო ყველა ბაღი, წელს 4 ბაღი, შემდეგ წელს 4 ბაღი და ასე შემდეგ. ეს მთავრობის პირველ სხდომაზე უნდა დამტკიცებულიყო, მაგრამ რატომღაც არ დაამტკიცეს. ახლა ისევ გავა ეს პროგრამა. ჩვენ იაპონია გვირემონტებს ბაღებს, იაპონიის ხარჯზე ვართ. წელსაც ჩამოვა აუდიტი და ნახავს იმ ბაღს, რომელიც წელს გავარემონტეთ, რადგანაც ყველაფერი კარგად გვაქვს, შემდეგ სხვა ბაღს გაარემონტებენ. მე-7 საბავშვო ბაღში სამზარეულო უნდა გავარემონტოთ, პატარ-პატარა სამუშაოები, რისი საშუალებაც გვაქვს, თავად ვაკეთებთ. სამზარეულო უნდა შემოვიტანო შიგნით აუცილებლად. შეშის მარაგი გვაქვს. რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერი გაკეთებული გვაქვს. რაც შეეხება ხორცის საკეპ მანქანას, აბსოლუტურად ყველა ბაღს ვუყიდეთ შარშან, ხდება ზოგჯერ დენი არაა და ვერ ტარდება ხორცი, ამიტომ ხორცის მომწოდებელს მოველაპარაკეთ, ხორცი რომ გაეტარებინათ ჩემი წარმომადგენელი იყო იქ და ატარებდა ხორცს და მიქონდა. ხორცი შარშან ბაღს არ გაუტარებია, ერთადერთხელ გაატარეს მოხარშული ხორცი, როდესაც ხორციანი მაკარონი გახლდათ მენიუთი გათვალისწინებული. მოხარშული ხორცი ვერანაირად გატეხდა მანქანას. ეს მანქანები ყველამ დაამტვრია ჭარხლის გატარების დროს. წელს ისევ თავიდან ვიყიდე. არც ისეთი შემთხვევა ყოფილა, ვინმეს რამე მოეთხოვოს, რამე სჭირდებათ და არ მიმეტანოს. საახალწლოდ ყველა ბაღში მივიტანე წიგნები და საჩუქრები და ერთერთი ბაღის გამგემ მითხრა - რად მინდოდა წიგნებიო. ისეთი მოთხოვნა არ ყოფილა, არ დამეკმაყოფილებინოს. ერთი ესაა, რემონტს ვერ ვაკეთებ, მაგრამ აქაც პატარ-პატარა სარემონტო სამუშაოებს ვასრულებთ. ჯერ არანაირი საშუალება არ მაქვს იმიტომ, რომ გადავდივართ ხაზინის დაქვემდებარებაში და თანხები არ გაგვაჩნია. ნისიებით მაქვს ყველაფერი გაკეთებული. რაც შეეხება იმას, რომ არამიზნობრივად ვხარჯავ ფულს, იცით რამდენი ვინმე მამოწმებს? მამოწმებს მერია, საკრებულო, ანუ ჩემი ფინანსები არამიზნობრივად არ (ვერ) იხარჯება, ერთი თეთრიც კი. რაც შეეხება გადახურვას, სათამაშოსა და წიგნის ყიდვას, მუხლობრივადაა დაყოფილი და იმაში თავისი თანხა და თავისი დროა განსაზღვრული. ორი შიფრის გულისთვის ტენდერს ვერ გამოვაცხადებ. როცა ამოიწურა გამოყოფილი 5 000 ლარი, მეტი აღარ მაქვს საშუალება, რომ გავაკეთო და ვჩერდები. თუ მაქვს 20-30 ათასი ლარი, ვაცხადებ ტენდერს. იმას რატომ არ ამბობენ გამგეები, კილონახევრიან ჭარხალს რომ ღებულობენ, ნიტრატებით სავსეს და რომ ვჩხუბობ, რატომ ღებულობთ ამ კილონახევრიან ჭარხალს-მეთქი. მე გავყვე იმ ბოსტნეულის მანქანას და მე შევამოწმო, რას მიიღებენ? რა უნდა გააკეთოს გამგემ მეტი ბაღში. ვინც იმას ამბობს, რომ არაფერს ვაკეთებ, ტუტუცები არიან“.

ბაღებში სტუმრობის დროს დავათვალიერეთ თითოეული ოთახი, საძინებლები, სამზარეულო. არის ბაღები, რომელიც საჭიროებს გარემონტებას, თუმცა მინიმალური პირობები მაინც არის შექმნილი პატარებისთვის. ძალიან მნიშვნელოვანი იყო საკითხი, ძინავთ თუ არა პატარა აღსაზრდელებს ბაღებში. ჩვენ დავათვალიერეთ საძინებლები და დავრწმუნდით, რომ შექმნილია ისეთი პირობები (სითბო, თბილი საბნები) და საკმარისი საწოლიცაა, რომ აღსაზრდელმა დაიძინოს თავის დროზე.

ეკა ურთმელიძე

ფოთი

,,ბოჩა ქორქია: „ეს პედაგოგები საზოგადოების მადლიერებასა და შრომის ღირსეულ დაფასებას იმსახურებენ„

ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრში იმ პედაგოგების გაცილება გაიმართა, რომლებმაც ამ სასწავლო წელს დაასრულეს პედაგოგიური საქმიანობა. ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა გოჩა ქორქიამ ექვს პედაგოგს - ნათელა ჯანიაშვილს, ნანა ცანავას, ლია მზეიძეს, დარეჯან ყურაშვილს, ლუიზა თედელურსა და ნაზი ახვლედიანს მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მომავალი თაობის ღირსეულად აღრზრდისათვის მადლობა გადაუხადა, ხოლო საჯარო სკოლების ადმინისტრაციამ მათ სიმბოლური საჩუქრები გადასცა. გოჩა ქორქიამ როგორც აღნიშნა: „ ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლასა და აღზრდაში გაწეული ამაგისთვის საზოგადოების მადლიერებასა და ასეთი დაუღალავი შრომისთვის ღირსეულ შეფასებას იმსახურებენ. მადლობა მინდა გადავუხადო სსიპ ქალაქ ფოთის 1 საჯარო სკოლის გეოგრაფიის პედაგოგს ქალბატონ ლიანა მზეიძეს, მას წარდგენა არ სჭირდება. ყოველთვის მესმოდა მისი სახელი, მისი წარმატება ცდებოდა ქალაქის ფარგლებს, მან გეოგრაფიის საგანი აქცია პრესტიჟულ, რეიტინგულ და პირველხარისხოვან საგნად. არაერთხელ გვინახავს ქალბატონი ლიანას მოსწავლეების წარმატებები ოლიმპიადებში. მან სულ 56 წელი იმუშავა, მე-5-ე საჯარო სკოლაში (1956- 1970 წწ) და 1 საჯარო სკოლაში (1970-2014წწ). თუნდაც ის, რომ ქალბატონი ლიანა 45 წელი დადიოდა 1 საჯარო სკოლაში ეს უკვე არის გმირობა. სსიპ ქალაქ ფოთის 5 საჯარო სკოლის ისტორიის პედაგოგს ლუიზა თედელურსაც დიდ მადლობას მოვახსენებ. არ მეგულება ფოთში ადამიანი, რომელიც ქალბატონ ლუიზას არ იცნობს, იგი არ არის ფოთელი, გორელი გახლავთ. ქალბატონ ლუიზას მუშაობის 54 წლის სტაჟი აქვს. ის ჯერ გორის სკოლაში მუშაობდა, შემდეგ კი, 1970 წლიდან 5 საჯარი სკოლაში. ის გახლდათ ჩემი მასწავლებელი და მისი გაკვეთილები ყოველთვის საინტერესო იყო. ის გამორჩეულია თავისი ადამიანური თვისებებითაც. სსიპ ქალაქ ფოთის 7 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედა-

გოგს დარეჯან ყურაშვილს სკოლაში მუშაობის 40 წლის სტაჟი აქვს, მან 1975 წლიდან დაიწყო მუშაობა. მე-7 სკოლა დაამთავრა და მე-7 სკოლაშივე დაამთავრა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობაც. ქალბატონი დარეჯანი მუშაობდა სკოლა ინტერნატში, სადაც 32 წელი დაჰყო. ის ასევე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელიც გახლდათ 1 წელი. რაც სკოლა- ინტერნატი და მე-7 სკოლა გაერთიანდა, მას შემდეგ მე-7 სკოლაში იმუშავა 8 წელი. 2008 წელს იყო გეგეშიძის ფონდის ლაურეატი. სწორედაც რომ დიდი მადლობის ღირსი გახლავთ. სსიპ ქალაქ ფოთის 11 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელსა და დირექტორის მოადგილეს ქალბატონ ნათელა ჯანიაშვილი-ხარჩილავას 43 წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობის სტაჟი გააჩნია და ამავე დროს 21 წელი იყო დირექტორის მოადგილე, ის ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, პრინციპულობით, უამრავი დადებითი თვისებით. ხშირად მქონდა მასთან პროფესიული ურთიერთობა და მოხარული ვარ ამით. ასევე მადლობას ვუხდი ამავე სკოლის გერმანული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ნანული ცანავას, რომელსაც 44 წლიანი სამუშაო სტაჟი აქვს და აქედან 4 წელი მუშაობდა სკოლა ინტერნატში და მე-7 სკოლაში, 38 წელი კი მე-11 საჯარო სკოლაში. ის გახლავთ პროფესიონალი, გამოცდილი სპეციალისტი და მისი მსგავსი მასწავლებლები სჭირდება სკოლებს. სსიპ ქალაქ ფოთის 12 საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგს ნაზი ახვლედიანსაც უღრმესი მადლობა თავისი 55 წლიანი მოღვაწეობისთვის. ქალბატონი ნაზიც არ გახლავთ ფოთელი, ის ცაგერის რაიონიდანაა. ისიც მუშაობდა აგრეთვე სკოლა ინტერნატში, მე-16 საჯარო სკოლაში, 1 საჯარო სკოლაში და ნამდვილად თავის საქმეში პროფესიონალია. მადლობა თქვენ თქვენი ასეთი ღვაწლისათვის”.

ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა მადლობა გადაუხადეს გოჩა ქორქიას და იქ დამსწრეებს დაფასებისთვის და მათი შრომის დანახვისთვის. მათ აგრეთვე გაიხსენეს, როგორ დაიწყეს სკოლაში მოღვაწეობა და მომავალ თაობასაც მისცეს რჩევები - მოუწოდეს, იყვნენ პროფესიონალები თავიანთ საქმეში, ობიექტურები და სამართლიანები. მათ ეამაყებათ თავიანთი მოსწავლეები, რომლებმაც ცხოვრებაში მიაღწიეს დიდ წარმატებებს.

იქნება თუ არა მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი მასწავლებელთა განთავისუფლების მექანიზმი?

თათია ლოლუა
ფოთი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების თანახმად, 3 თვეში საჯარო სკოლების შინაგანაწესი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ მოთხოვნებთან. აღნიშნული წესი ითვალისწინებს საჯარო სკოლის მასწავლებელთა დისციპლინარული გადაცდომის სახეებს და შესაბამისი სახდელის ფორმებს, რაც იმას ნიშნავს, თუ რა ტიპის დისციპლინარული გადაცდომა ჩაითვლება გადაცდომად და კონკრეტული დისციპლინარული გადაცდომისთვის რა სახდელი შეიძლება დაეკისროს მასწავლებელს. როგორც დოკუმენტში ნათქვამია, ძირითადად ეს გადაცდომებია მასწავლებლის პროფესიული ეთიკის დარღვევა, სკოლებში უსაფრთხოების წესრიგის ნორმების დარღვევა, ამაში ჩაითვლება შინაგანაწესით განსაზღვრული გარკვეული წესების დარღვევა, პედაგოგის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში მოსვლა ან თამბაქოს მიღება ტერიტორიაზე. ეს არის ძირითადი გადაცდომები, რომელზეც დაწესებულია სახდელები: შენიშვნა, საყვედური, სასტიკი საყვედური და სამსახურიდან გათავისუფლება.

როგორც გავარკვიეთ, ყველა სკოლაში არსებობს დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც შედგება ორი მოსწავლის, ორი მშობლისა და ორი პედაგოგისაგან. თუ სკოლის მოსწავლე, მშობელი ან სკოლის თანამშრომელი, რომელიც სკოლის წესრიგზე აგებს პასუხს, წერილობით მიმართავს დისციპლინარულ კომიტეტს გადაცდომის შესახებ, ამ შემთხვევაში დაიწყება დისციპლინარული წარმოება. შესაძლებელია, სამეურვეო საბჭომაც მიმართოს კომიტეტს, თუ მას გააჩნია დასაბუთებული ეჭვი პედაგოგზე. ასეთივე უფლება გააჩნია დირექტორსაც, თუ მას აქვს გარკვეული ინფორმაციები. შესაბამისად, 3 კვირის ვადაში დისციპლინარული კომიტეტი განიხილავს განცხადებას და 3 კვირის შემდეგ, ოქმის საფუძველზე, დადებს დასკვნას კონკრეტული დისციპლინარული გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებით სახდელის დაწესებაზე ან კონკრეტული სახდელის დაწესებაზე უარის შესახებ. შემდეგ ამას გადასცემს სკოლის დირექტორს, როგორც რეკომენდაციას. 4 დღის ვადაში. თუ დირექტორი დაეთანხმება კომიტეტის ამ გადაწყვეტილებას, იგი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს, სადაც განსაზღვრავს კონკრეტულ საქმეს. დირექტორს აქვს უფლება, არ დაეთანხმოს კომიტეტის გადაწყვეტილებას. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დასაბუთებული უნდა იყოს. მაქსიმალური ვადა სახდელისა არის 1 წელი, თუმცა შეიძლება იყოს 3 თვეც, გააჩნია დისციპლინარულ გადაცდომას.

მინისტრის ამ ბრძანებულებამ პედაგოგებში ერთგვარი უკმაყოფილება გამოიწვია. როგორც ისინი ჩვენთან საუბარში აცხადებენ, ეს წესი შეიძლება მასწავლებლის განთავისუფლების ერთგვარი მექანიზმი აღმოჩნდეს.

ფოთის რესურსცენტრის უფროსმა გოჩა ქორქიამ ჩვენთან შემდეგი კოენტარი გააკეთა მასწავლებლების დისციპლინარული წარმოების წესთან დაკავშირებით: “დისციპლინარული გადაცდომის წარმოების წესში, ძირითადად, ახალი არაფერი წერია. ეს წინა წლებშიც იყო. მაგალითად, პედაგოგი ალკოჰოლურ მდგომარეობაში არ უნდა გამოცხადდეს სკოლაში, შინაგანაწესს ყველა უნდა ემორჩილებოდეს, მაგრამ ახლა ეს წარმოების წესი ცალკე არის გამოყოფილი. დისციპლინარული წესი ადრე რეაგირებდა მხოლოდ მოსწავლეებზე, ახლა კი გამკაცრდა და მასწავლებლებსაც შეეხო. რამდენად იმუშავებს ეს წესი, ამას სკოლები 3 თვის ვადაში დააკვირდებიან“.

საინტერესოა, კერძო სკოლებში თუ გავრცელდება მასწავლებელთა დისციპლინარული წარმოების წესი. გოჩა ქორქიას თქმით: „კერძო სკოლებს თავისი შინაგანაწესი აქვს. მათ შეუძლიათ, სურვილისამებრ დაექვემდებარონ ამ წესდებას. თუმცა, შეუძლიათ სულაც გაამკაცრონ. მათ ასევე აქვთ უფლება, არც კი იხელმძღვანელონ ამ წესდებით. ის კერძოა და მათი გადაწყვეტილებაა“.

როგორც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ფოთის საქალაქო ორგანიზაციაში გვითხრეს: „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ სამართლიანად ამოქმედება ბევრადაა დამოკიდებული საჯარო სკოლების ახალი შინაგანაწესის მოთხოვნებზე. სპმთპ-ის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის ინგა გვასალიას თქმით, სკოლის შინაგანაწესის პროექტზე სპმთპ-ის იურიდიული დეპარტამენტი აქტიურად მუშაობს: „ განათლების მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესი“, რომლის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპმთპ-ს არ გააჩნია გარკვეული კრიტიკული შენიშნები მოქმედი რედაქციის ზოგიერთ დებულებასთან დაკავშირებით. ჩვენ გავეცანით დოკუმენტის საბოლოო ვარიანტს და ვფიქრობთ, რომ მასწავლებელთა მიმართ დისციპლინური წარმოება გარკვეულ ჩარჩოებში და რეგულაციებში ექცევა. დაზუსტებული დისციპლინური გადაცდომის ნუსხა პროფკავშირს მეტად გვაძლევს საშუალებას პედაგოგთა ეფექტური დაცვისათვის. თუ გაგრძელდება აღნიშნული დოკუმენტის შემდგომი სრულყოფა, ჩაითვლება, რომ ერთი ნაბიჯი წინაა გადადგმული. სასურველია, ამ ორგანოს მეტად გაძლიერება, რათა საერთოდ გამოირიცხოს ერთპიროვნული და არაობიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა სკოლის დირექტორის მიერ”.

შრომის ინსპექციის შექმნა ჯერჯერობით მხოლოდ დაპირებად რჩება

სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა შრომის ინსპექციის ხელახლა შექმნას ჯერ კიდევ არ ჩქარობს. როგორც პროფკავშირების გაერთიანებაში აცხადებენ, ჯანდაცვისა და ეკონომიკის სამინისტროსთან გასვლითი შეხვედრა გაიმართა, თუმცა პოზიციების დაახლოება მაინც ვერ მოხერხდა. თუმცა მთავრობა თანახმაა მონიტორინგის სამსახური შექმნას, რომელიც დააკვირდება საწარმოებს, იმ შემთხვევაში თუ საწარმოები დასთანხმდებიან მონიტორინგს. როგორც ამბობენ, ასეთი ფორმით სამსახურის შექმნა აბსურდია, რადგან არცერთი საწარმო, სადაც დარღვევებია, ნებაყოფლობით შემოწმებაზე თანახმა არ იქნება და აუცილებელია სანქციების არსებობა.

მთავრობამ შრომის ინსპექციის შექმნის ვალდებულება ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიული დოკუმენტით აიღო. ინსპექცია მიმდინარე წელს უნდა შეიქმნას, თუმცა ეკონომიკის სამინისტრო მიიჩნევს, რომ ინსპექციის შექმნა ბიზნესმენებს დამატებით რეგულაციებს შეუქმნის და ეს ბიზნესგარემოს გაუარესებას შეუწყობს ხელს.

შრომის ინსპექციის შექმნამდე მთავრობამ კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით, 2015 წელს შრომითი უსაფრთხოების მონიტორინგი დაიწყება. მონიტორინგი იქნება ნებაყოფლობითი, ანუ კერძო კომპანიებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, რომ მონიტორებმა საწარმოში არსებული შრომითი უსაფრთხოების პირობები შეამოწმონ, სამინისტროს წერილობით მიმართავენ. სამინისტრო კი მათთან სპეციალურ მონიტორებს გააგზავნის. დასაქმებულის უფლებების დარღვევის შემთხვევაში საწარმოს გაეგზავნება შესაბამისი რეკომენდაცია, თუმცა კომპანიას არანაირი სანქცია არ დაეკისრება.

პროფკავშირების გაერთიანების უფროსის მოადგილე, გოჩა ალექსანდრია აცხადებს, რომ სამინისტროს ინიციატივა სრულიად არაეფექტური იქნება. მისი თქმით, ერთი მხრივ, ნებაყოფლობითი შემოწმება რეალურად ვერ გამოავლენს დარღვევებს: “ეს დასაქმებულების მოტყუება და კერძო კომპანიებზე მორგებული პოლიტიკა იქნება. რას ნიშნავს, ნებაყოფლობითი მონიტორინგი? როგორ წარმოგიდგენიათ, რომ საქართველოში, სადაც შრომითი უსაფრთხოება მინიმალურადაა დაცული, კომპანიები თანახმანი იქნებიან, რომ მონიტორმა იქ არსებული მდგომარეობა შეისწავლოს? მეორე მხრივ, სამინისტრო თვითონ აარჩევს შედარებით მოწესრიგებულ რამდენიმე საწარმოს და წლის ბოლოს იტყვის, აი როგორი დაცულია დღეს დასაქმებულის შრომითი უსაფრთოხებაო. უნდა არსებობდეს ორგანო, სადაც დასაქმებულს მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართვის შესაძლებლობა ექნება. ამ ორგანომ კი მხოლოდ რეკომენდაციები კი არ უნდა შეიმუშაოს, დარღვევის შემთხვევაში ჯერ გააფრთხილოს, შემდეგ გონივრული ვადა მისცეს და ბოლოს ისეთი მკაცრი სანქციები გაატაროს, როგორიცაა კომპანიის დაჯარიმება ან დახურვა. ეს არის საერთაშორისო სტანდარტი. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ასე ხდება”. პროფკავშირებს ამ პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნებიც აქვს. გოჩა ალექსანდრიას განმარტებით, სამინისტრომ მხოლოდ შრომითი უსაფრთხოების პირობები კი არა, ზოგადად შრომითი უფლებები უნდა შეისწავლოს. მაგალითად, როგორიცაა: დასაქმებულის ანაზღაურება, შვებულება, შესვენება და ა.შ.

“ჯანდაცვის სამინისტრომ ეს პროექტი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად წამოიწყო, თუმცა, მათ ავიწყდებათ, რომ ეს სტანდარტი მხოლოდ შრომით უსაფრთხოებას კი არა, შრომით უფლებებსაც მოიცავს. ამის ორად გაყოფა დაუშვებელია და მხოლოდ და მხოლოდ თვალის ახვევას ემსგავსება”, - აცხადებს ალექსანდრია.

2014 წლის 9 თვის განმავლობაში ამ ტრავმების შედეგად დაშავდა 61 და გარდაიცვალა 41 ადამიანი.

„მე და ჩემი ქალაქი"

თათია ლოლუა
ფოთი

ფოთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ფოლკლორის ცენტრმა გამართა საღამო - „მე და ჩემი ქალაქი". ღონისძიებაზე წარმოდგენილი გახლდათ ფოთზე შექმნილი წიგნები. საღამოს სტუმარი იყო ახალგაზრდა ჟურნალისტი, მრავალი საქველმოქმედო ღონისძიების იდეის ავტორი და ორგანიზატორი ირმა კეკელიძე - წიგნის „ფოტოობიექტივში აღქმული დრო" გამოცემისათვის, რომელიც მოიცავს ფოტოისტორიას ფოთის შესახებ, მისი განვითარებისა და ზრდის ყველა ეტაპს...

საღამოზე წარმოდგენილი იყო ასევე გერონტი კუხალეიშვილის წიგნი „მომავლის წარსული", რომელსაც არა მხოლოდ შემეცნებითი და ემოციური, არამედ მორალური და მოქალაქეობრივი დატვირთვაც აქვს. „ფოთის ისტორიული წარსულის მოკლე მიმოხილვა და ნიკო ნიკოლაძის შემდგომი პერიოდის მოვლენებს თავისი ღირსეული და სამართლიანი ადგილი უნდა მიკუთვნებოდა".

საღამოს სტუმარი გახლდათ ასევე ქალბატონი ია საბახტარიშვილი. საბახტარიშვილების დიდი გვარის შთამომავალი, იმ საბახთარიშვილებისა, რომლებიც ფოთის აღმშენებლობის გზაზე გვერდით ედგნენ დიდ ნიკო ნიკოლაძეს. ქალბატონმა იამ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო თავის ღირსეულ წინაპრებზე - მიხეილ, გიორგი და ბეჟუკი საბახტარიშვილებზე.

ჩვენს ქალაქში წისქვილკომბინატის შემქმნელთა დინასტიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ქალბატონმა გულნაზი ვაჩეიშვილმა ვრცლად ისაუბრა თავისი სახელოვანი წინაპრებისა და ოჯახის წევრების შესახებ.

წარმატებული კომპანიის - თიბისი ბანკის ფოთის ფილიალის ხელმძღვანელმა დავით ჯანჯღავამ წარმოადგინა თავისი კოლექტივი.

პედაგოგის როლსა და ღვაწლზე ვრცლად ისაუბრა „სკოლის ბურჯად" წოდებულმა პედაგოგმა თალიკო კვარაცხელიამ.

“ლეილა და ნანი, ნანი და ლეილა, განუყრელია ეს ორი სახელი, მე-5 სკოლა, სტუდენტობა და კვლავ ფოთი. ისინი დღემდე რჩებიან განუყრელ მეგობრებად” - ამ სიტყვებით წარუდგინა დამსწრეთ წამყვანმა ეს ორი უმშვენიერესი, უდავოდ წარმატებული შემოქმედი ქალბატონები ნანი გუგუშვილი და ლეილა ლოლუა, რომელთა შესრულებულ მუსიკალურ ნომრებს მსმენელი დიდი აღფრთოვანებითა და ოვაციებით შეხვდა.

„am WiSkarTan rom CaivliT,
am naldartymul xis WiSkarTan,
magondeba berikaci
dakemsili misi CanTa,
gaSverili hqonda xeli,
iyo omi, Wiri, sevda da
WiSkarTan Cavlil bavSvebs
blis kunwulebs gvirigebda".

ლეილა კაკულიას ამ სტრიქონების ფონზე ისაუბრა ლია მეგრელიშვილმა და უდიდესი. მადლიერება გამოხატა მამის, ჭეშმარიტად ნამდვილი ფოთელის შოთა მეგრელიშვილის სახელობის სანაპიროს გახსნისათვის.

დიდი სიყვარულითა და ჩვეული სითბოთი მოეფერა ფოთელებს მუსიკოს-პედაგოგი მანანა მამალაძე. მის მიერ შესრულებული შოპენის „ფანტაზია ექსპრონტი" დიდხანს გაჰყვება მსმენელს.

„Tu marTla xanZris
naxva gendomebaT,
unda ixiloT cekva qarTuli".

ეს სიტყვები „ქორეოგრაფიის რაინდად" წოდებულ ახმედ ამბალიას მიეძღვნა.

„ სიმღერა სიყვარულის საგალობელია"... და უგალობენ ერთმანეთს თითქმის ნახევარი საუკუნეა ბატონი იროდი ტიკარაძე და ქალბატონი მაყვალა ჯინაშვილი.

ოჯახურ ტრადიციას არც მათი შვილები და შვილიშვილები ღალატობენ. სიმღერითა და ცეკვით ოჯახთან ერთად ნია წულაიამ ფანტასტიური ნომერი შემოგვთავაზა.

„შორს არ არის ის დრო, როდესაც დედათა საქმე თავისას გაიტანს და ეს მთელი ნახევარი სქესი კაცობრიობისა მოწვეულ იქნება წუთისოფლის სუფრაზე თავისი კუთვნილი ადგილის დასაჭერად" დიდი ილიას ეს სიტყვები სრულიად ესადაგება ქალბატონ ლეილა კაკულიას ცხოვრებას. მისი ხასიათის შტრიხი ნათლად ასახა პოეტმა რევაზ ჩხარტიშვილმა შემდეგ სტრიქონებში:

„Cveni da da megobari, Cveni saTno kneina,
mTeli foTis TvalisCini, kakulia leila,
guliTadi megobrobiT ise moginadirebs,
agiCuyebs guls da uceb Tvalze cremls mogadinebs".

ეზო, შენობა, დახვეწილი გემოვნება, სისადავე, საუცხოოდ მოწყობილი დარბაზი, ჰოლი, კაბინეტები - ეს ყველაფერი დიდი ბრძოლისა და შრომის შედეგია და იგი კონსტიტუციის ქუჩაზე არსებულ პროფესიულ კოლეჯში გახლავთ, რაც მის ხელმძღვანელ ნინო ბაკურაძეს საუკეთესო ხელმძღვანელად წარმოაჩენს.

„ამ ოჯახში ყველა ბეთჰოვენია" - ამ სიტყვების გამეორება თამამად შეიძლება, როდესაც ჯანელიძეების ოჯახს ვახსენებთ.

გიორგი ჯანელიძე...კაცი...მუსიკა...ამ დღეს ფოთელებმა მას მაესტროს წოდება მიანიჭეს.

ღონისძიების შემოქმედებით გვირგვინს წარმოადგენდნენ ფოლკლორის ცენტრის კოლექტივები:

ფოლკლორული ანსამბლი „ფაზისი"/ ხელ-ლი ი. ტიკარაძე/

ვოკალური ანსამბლი „ ფაზისი"/ხელ-ლი მ. ცხოიძე/

ქალთა ტრიო „ფაზისი" ლამზირა კუპრეიშვილის, ნალიტა ამირანაშვილისა და ჟანა წულაიას შემადგენლობით.

კვარტეტი დარიკო ჩოჩიას ხელმძღვანელობით.

ფოლკლორის ცენტრის დირექცია ღონისძიების შინაარსობრივად გამდიდრებისათვის მადლობას უხდის ქალაქისათვის საყვარელ პიროვნებას, ფოთის კოლორიტს იასონ დოლბაიას და ღონისძიების წამყვანებს ირმა კეკელიძესა და მაიკო ტიკარაძეს.

წერილი რედაქციას

ხობის რაიონის ბიუჯეტი - „რაიონის ბობოლებს"

gazeT „mTavari Tema samegreloSi" redaqcias mogmarTavT TxovniT da didi imedi maqvs Tqveni profesionalizmisa da keTilsindisierebis da gamomiqveynebT werils, romelic xobis raionis 2015 wlis biujets exeba.

საქართველოში 2003 წლის ოქტომბრამდე გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობდით ყველანი, ვინც „ნაცმოძრაობის" იდეებს არ ვიზიარებდით. სრული განუკითხაობის, ტერორის, ადამიანის უფლებების ფეხქვეშ გათელვის, უკანონო პატიმრობების ათასობით მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ერთ-ერთი პირველთაგანი ვიყავი ხობის რაიონში, ვინც მიესალმა ბატონ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლას (იხილეთ რაიონულ გაზეთში ჩემი წინასაარჩევნო ინტერვიუ).

ვარ 2007 წლის 7 ნოემბრისა და 2011 წლის 26 მაისის თბილისში გამოსვლების მონაწილე და მსხვერპლი. არ მეგონა, თავი დღესაც დასაცავი თუ გამიხდებოდა საკრებულოსა და გამგეობაში მოკალათებულ ყოფილი „ ნაციონალებისაგან" და 2012 წლის ოქტომბერში ქართველი ხალხისა და ბატონ ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით მოხდენილ რევოლუციურ ცვლილებებს მიტმასნილი ხობის მედროვე ხელმძღვანელობისაგან.

სამწუხაროდ, ხობში ძალიან ბევრი ცუდი დარჩა, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელობაში ისეთ ხალხს გაეწია რეკომენდაცია, მათ ავტორებს ალბათ „ქართული ოცნებისა" და ბატონი ბიძინა ივანიშვილის სახელის დისკრედიტაცია ჰქონდათ განზრახული.

საკრებულოს წევრი გავხდი - „ბურჯანაძე- დემოკრატების" პარტიული სიით, მსურდა როგორც ადრე, ხობის აღმშენებლობის პერიოდში (და ის პერიოდი ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობის გარკვეულ წლებს მოიცავს, რომელმაც ეპოქა შექმნა ხობის სინამდვილეში), მეშრომა ხობელებისა და ხობის საკეთილდღეოდ, მაგრამ ცნობილია, რომ რევოლუციური ცვლილებების დროს ხელისუფლების სათავეში შემთხვევითი ადამიანები ხვდებიან. ასე მოხდა ხობის სინამდვილეშიც. ხოლო ისეთი კატეგორიის ადამიანები, ყურადღების სხვა თემაზე გადასატანად, ყოველთვის ეძებენ „ხალხის მტრებს". რაიონის ხელმძღვანელობამ მეც თავიანთ „პირად მტრად" გამომაცხადა. ამისთვის მათ ორი მიზეზი აქვთ.

პირველი - რაიონის 2015 წლის ბიუჯეტის წინააღმდეგ მივეცი ხმა, ხობის ბიუჯეტის 2013 წლის ხარჯვითი ნაწილი ყოფილა 10 მილიონი ლარი, 2014 წლის ბიუჯეტისა - 8 მილიონი ლარი, ხოლო 2015 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არის 6 მილიონი ლარი. ე.ი ბიუჯეტი „შაგრენის ტყავივით" ხელში გვადნება, ყველა ხარჯი იკლებს, მხოლოდ ხარჯის ერთი მუხლი მატულობს, იზრდება მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები. 2013-2014 - 2015 წლებში ის იყო ორ-ორი მილიონი ლარი, (თანხები ყველგან დამრგვალებულია), მაგრამ 2013 წელს 10 მილიონი ბიუჯეტის 20 პროცენტიანი იყო, 2014 წლის 8 მილიონიანი ბიუჯეტის 25 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2015 წლის 6 მილიონიან .საკრებულოს თავმჯდომარის „შენახვა" ყოველთვიურად 6000-6000 ლარზე მეტი გვიჯდება, გამგებელსა და საკრებულოს თავმჯდომარეს დანიშნული აქვთ სახელფასო ლიმიტის უმაღლესი ზღვარი 2600-2600 ლარი თითოეულს, ამის გარდა გამგებელს აქვს 1000 ლიტრი საწვავის ლიმიტი, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარეს 800 ლიტრის ლიმიტი თვეში, დაახლოებით 2000 ლარი თითოეულს თვეში, ამის გარდა აქვთ 50-50 ლარიანი ტელეფონზე სალაპარაკო, ორივეს ემსახურება მძღოლი 500-500 ლარიანი ხელფასით, ძვირფასი მანქანები 70 000- 70 000 ლარიანი ღირებულებისა თითოეული, კომისიის თავმჯდომარეს და ფრაქციის თავმჯდომარეებს აქვთ 1350 ლარი, ჩვენ კი „რიგით მოკვდავ" საკრებულოს წევრებს გვქონდა 50 ლიტრი ბენზინისა და 25 ლარის ტელეფონზე სალაპარაკო და ისიც მოგვიხსნეს, როდესაც 2015 წლის ბიუჯეტის განხილვაზე ეს ყველაფერი ვთქვი და „დავპირდი", რომ ბიუჯეტს ხმას არ მივცემდი, საკრებულოს თავმჯდომარემ, ედიშერ ჯობავამ „ პირად მტრად" გამომაცხადა, თან „ამიხსნა" - შენს ჯიბეში ხელი არ ჩამიყვია, ხელფასს სახელმწიფო მიხდისო. ეტყობა, საკრებულოს თავმჯდომარემ ისიც კი არ იცის, რომ მას ხელფასს მე და ჩემნაირი ათასობით რიგითი გადასახადის გადამხდელი ვუხდით და მას მთელი რაიონის მცხოვრებთა ჯიბეში აქვს ხელი ჩაყოფილი...

ბიუჯეტს კიდევ იმიტომ არ მივეცი ხმა, რომ მის „შემდგენლებს" არც კი წაუკითხავთ ახალი ხელისუფლების ინიციატივით მიღებული კანონი „საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის შესახებ". ამ კანონის სიკეთე ჩემს თავზე გამოვცადე, როდესაც 2014 წლის 17 ნოემბერს თბილისში თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის ოპერაცია გავიკეთე და ერთი თეთრი არ დამხარჯვია, როგორც აფხაზეთის ომის ვეტერანსა და პენსიონერს...

ხობის ბიუჯეტში არის მუხლი - გამგეობა და საკრებულო აფინანსებენ „სოციალურად შეჭირვებული პირების ფაქტიური საოპერაციო" ხარჯების 50 პროცენტს, არადა, კანონით, საქართველოს ყველა მოქალაქეს უნაზღაურდება ოპერაციის 70 პროცენტი, თუ ის პენსიონერია - 80 პროცენტი და თუ პენსიონერთან ერთად ომის ვეტერანიცაა 100 პროცენტი, მაშ გამგეობა და საკრებულო რის 50 პროცენტს აფინანსებენ?

მეორე მიზეზი ჩემი „მტრად" გამოცხადებისა: ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა, როგორც უხუცეს წევრს, მე მიმყავდა, მაგრამ როდესაც გავიგე, რომ საკრებულოს თავმჯდომარედ „ინიშნებოდა" „აღიარებითი ჩვენებით" გასამართლებული ედიშერ ჯობავა, ხოლო საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარედ მისი მოსამართლე შოთა სირაძე, პროტესტის ნიშნად, უარი განვაცხადე სხდომის წაყვანის გაგრძელებაზე და ის სხვამ დაასრულა!

მივმართავ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს და ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ადამიანს, რომლის წინაშეც ვალშია მთელი საქართველო, ხობის რაიონი 2012 წლამდე ეკუთვნოდათ „ნაციონალებს" და მათ როგორც სურდათ, ისე მართავდნენ, საუბედუროდ, 2012 წლიდან ხობი არავის ეკუთვნის და ვისაც როგორც უნდა, ისე მიიხმარს. დაუბრუნეთ ხობი-ხობელებს და მადლიერი ხობელები ასმაგად აღორძინებენ რაიონს და ხობი ნორმალური ხელისუფლების ერთ-ერთი დასაყრდენი და საიმედო ზურგი იქნება, შეუცვლელთ ხობს „ხელისუფალნი", ხობელებსაც გვეშველება და ხელისუფლებაში შემთხვევით მოხვედრილ მედროვეებსაც!

ediSer wurwumia
xobis municipalitetis
sakrebulos wevri
2015 wlis 15 ianvari

ეს საინტერესოა

ეს მარტივი სასმელი კლავს ცუდ ქოლესტერინს და წვავს ცხიმს

ექიმების გაოცებას იწვევს, მარტივად მოსამზადებელი სასმელი როგორ ამცირებს ცუდ ქოლესტერინს და წვავს ზედმეტ ცხიმს.
სასმელის შემადგენელი ყველა ინგრედიენტი ულტრა ჯანმრთელია და ეხმარება ორგანიზმს სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლაში, მაგრამ თუ სწორი კომბინაციით და პროპორციითაა დამზადებული, ის ცუდი ქოლესტერინის ნამდვილ მკვლელად იქცევა. ასევე ეხმარება ორგანიზმს ცხიმის სწრაფად დაწვაში.

recepti

2 ლიტრი გაფილტრული წყალი
3 ძირი ოხრახუში
3 ლიმონი
საჭმლის სოდა.
გაწმინდეთ ლიმონი კარგად სოდით. ეს ნებისმიერ ჭუჭყს და მავნე მინარევებს მოაშორებს. აადუღეთ წყალი და დადგით გასაგრილებლად. შემდეგ დაჭერით ლიმონი წვრილ ნაჭრებად. დაჭერით ოხრახუში, დაამატეთ წყალი. თავზე დაახურეთ და შედგით სითხე მაცივარში. ერთი დღის შემდეგ კარგად მოურიეთ და გადაიტანეთ შუშის ბოთლში. მიიღეთ დღეში 120 გრამი.

◇◇◇

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში„

აცხადებს კონკურსს „წელიწადის გამყიდველი„-ს სახელზე

კონკურსში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა გამყიდველმა, რომლის მაღაზიაშიც იყიდება გაზეთი. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება რედაქციაში საზეიმო ვითარებაში.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლება ყველა გამყიდველს რომლის მაღაზიაშიც გაიყიდება გაზეთი.

რედაქციას შეუძლია შესთავაზოს გამყიდველს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შეიძლება მკითხველებმა მიაღებინონ მონაწილეობა ან გამყიდველი თვითონ ღებულობს მონაწილეობას გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

1. ხმის მიცემა მოხდება გაზეთში დაბეჭდილი კუპონების მეშვეობით.

2. მკითხველს შეუძლია მისცეს ხმების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ან რამდენიმე გამყიდველს. არსებობს მხოლოდ ერთი პირობა - ხმის მიცემა შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან გამოჭრილ კუპონზე (ქსეროქსზე გადაღებული კუპონები კონკურსში მონაწილეობას არ ღებულობენ)

3. თვეში ერთხელ ამოირჩევა - თვის საუკეთესო გამყიდველი, რომელიც მიიღებს ჯილდოს-სიუპრიზს. თვეში ერთხელ ჯილდოს მიიღებს აგრეთვე ხმის მიმცემიც.

4. წლის ბოლოს კი დასახელდება წელიწადის გამყიდველი, რომელიც მიიღებს მნიშვნელოვან საჩუქარს.

5. ხმის მიცემა შეუძლია ყველა მკითხველს. თითოეულს შეუძლია შეავსოს გაზეთიდან ამოჭრილი კუპონების ნებისმიერი რაოდენობა. კუპონები შეიძლება გაიგზავნოს ან მოიტანონ რედაქციაში, ან შეიძლება მოიტანონ მაღაზიაში, რომელშიც იყიდება გაზეთი. მაღაზიიდან კუპონებს ღებულობს რედაქციის თანამშრომელი.

კონკურსი ცხადება ასევე ერთგული მკითხველი-ის სახელზე, წლის ბოლოს დაჯილდოვდება ის მკითხველი, რომელიც რედაქციაში გაზეთის ყველა ნომერს წარმოადგენს.

სამძიმარი



შვილები: მურმანი, ლეილა მანანა, რომანი გოგინავები. რძლები; მზიური კაკულია სალომე წულეისკირი, ნინო გერლიანი, ირინა ტასოევა მარგო გოგია, თალიკო გაგუა; სიძეები: ჯემალ თედეშვილი, ზაზა ძიძიგური გიორგი კვესელავა; შვილიშვილები: თაკო, თემური ირაკლი ვერიკო, ავთანდილი ტარიელი; შვილთაშვილები; დისშვილები, ძმისშვილები მაზლისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარი (თამრო) არჩილის ასული საჯაია– გოგინავა

დაკრძალვა ხუთშაბათს, 29 იანვარს, ნაბადის უბნის სასაფლაოზე. გამოსვენება 15 საათზე. შავის ზღვის ქუჩა №20

კუპონი №1

მთავარი თემა სამეგრელოში

გამყიდველის მთავარი პრიზი - - - - - - - - - - -

ხმის მიმცემის პრიზი - - - - - - - - - - - - - - - -

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

ხმის მომცემის სახელი და გვარი ----------

მისამართი: ----------

ტელ: ----------

ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2, 0 492 22 40 50

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება
ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის
გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.